KA030144352121318

№ 01-5411/ს **03 / დეკემბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს, ბატონ დავით სერგეენკოს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოადგილის მაია ლაგვილავას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

როგორც მოგეხსენებათ, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია-ევროკავშირი-ლუქსემბურგის უნივერსალური ჯანმრთელობის პარტნიორობის ფარგლებში (The WHO-EU-LUX UHC Partnership (UHCP)), ჯანმოს ევროპის რეგიონის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, მიმდინარეობს 3 წლიანი პროექტი, რომელიც ფოკუსირებულია შემდეგ აქტივობებზე:

- სტრატეგიული შესყიდვების დანერგვის გეგმის მომზადება და სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება;
- ანაზღაურების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების (DRG) მეთოდის დანერგვის ხელშეწყობა;
- პირველადი ჯანდაცვის სისტემაში პაციენტის მოძრაობის საუკეთესო პრაქტიკის დიზაინის შემუშავება და დანერგვის ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში, ჯანმოს ექსპერტების დახმარებით, შემუშავებულია სტრატეგიული შესყიდვებისა და დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების (DRG) დანერგვის გეგმები და ამჟამად მიმდინარეობს მათი ტექნიკური განხორციელების გზებზე მუშაობა.

DRG-ის სრულყოფილი დანერგვისთვის საჭიროა მისი სარგებლობის უფლების ლიცენზიის შეძენა Nordic Casemix ცენტრიდან და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა ფინური კომპანია Prodacapo-გან.

ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად, საჭიროა გაფორმდეს შეთანხმებები Nordic Casemix ცენტრთან საქართველოს მიერ NordDRG-ის სისტემის გამოყენების შესახებ და Prodacapo-სთან NordDRG Grouper პროგრამული გადაწყვეტილებების მიღების შესახებ.

Nordic Casemix ცენტრის NordDRG-ის სისტემის გამოყენების უვადო ლიცენზიის ღირებულებაა 2,000 ევრო. Prodacapo-სთან NordDRG Grouper-ის პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტის ყოველწლიური ფასდაკლებითი სალიცენზიო მოსაკრებელი, სამი მოდულის ჩათვლით (1.Prodacapo Grouper Web (REST) API; 2. Prodacapo VisualDRG; 3. Prodacapo NordDRG Batch grouper), შეადგენს 29 625 ევროს. ამას ემატება ქართული DRG-ის ვერსიის შესაქმნელად თავდაპირველი გარდამავალი სამუშაოებისთვის 3-დღიან საკონსულტაციო საქმიანობისთვის განკუთვნილი 1,800 ევრო (22,5 სთ, ერთი საათის ღირებულება 80 ევრო).

გთხოვთ თქვენს გადაწვეტილებას:

1. Nordic Casemix ცენტრთან საქართველოს მიერ NordDRG-ის სისტემის გამოყენების შესახებ და Prodacapo-სთან NordDRG Grouper-ის პროგრამული გადაწყვეტილებების მიღების შესახებ შეთანხმებების საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებასთან დაკავშირებით (იხილეთ დანართები);
2. შეთანხმებებით განსაზღვრული ლიცენზიების და გარდამავალი სამუშაოებების ღირებულებების დაფინანსებასთან დაკავშირებით (33,425 ევრო).

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურებს შეთანხმებების მოწონებისა და მასში განსაზღვრული მოსაკრებლების დასაფარად საჭირო პროცედურების წარმოება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპოსანულია